

შპს ჯიბე

ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

|                                    |           |
|------------------------------------|-----------|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა    | 1-3       |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 4         |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 5         |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  | 6         |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 7         |
| განმარტებითი შენიშვნები            | 8         |
| <b>დასკვნის ბოლო გვერდი</b>        | <b>33</b> |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯიბეს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

*ფინანსური ანგარიშგების დასკვნა*

### *პირობითი მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს ჯიბეს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

### *პირობითი მოსაზრების საფუძველი*

ჩვენ ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვლას და ვერ შევძელით მათი რაოდენობების ალტერნატიული გზით დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 28,169 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების განხორციელება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და მათთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი პირობითი მოსაზრების წარმოსადგენად.

### *მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები*

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად,

რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიას ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიას ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### *აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის*

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიას ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

**დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

**მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

**დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

**მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო



შპს ჯიბე  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020  
თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                           | შენიშვნები | 31.12.2021     | 31.12.2020     |
|-------------------------------------------|------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                           |            |                |                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>              |            |                |                |
| ძირითადი საშუალებები                      | 5          | 11,299         | 6,857          |
| არამატერიალური აქტივები                   |            | 42             | 33             |
| აქტივის გამოყენების უფლება                | 18         | 13,968         | 16,773         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          |            | <b>25,309</b>  | <b>23,663</b>  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                 |            |                |                |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები            | 6          | 28,169         | 21,662         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება    | 7          | 12,027         | 5,539          |
| გაცემული სესხები                          | 8          | 4,912          | 3,138          |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                  |            | 27             | 27             |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები           | 9          | 702            | 969            |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები     | 10         | 4,316          | 1,113          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             |            | <b>50,153</b>  | <b>32,448</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                       |            | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>          |            |                |                |
| <b>კაპიტალი</b>                           |            |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                        | 11         | 1,384          | 1,384          |
| გაუნაწილებელი მოგება                      |            | (3,635)        | (5,951)        |
| გადაფასების რეზერვი                       |            | 322            | 322            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |            | <b>(1,929)</b> | <b>(4,245)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |            |                |                |
| გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე |            | 12,313         | 15,207         |
| გრძელვადიანი სესხები                      |            | -              | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            | <b>12,313</b>  | <b>15,207</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>            |            |                |                |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება   | 12         | 40,915         | 31,163         |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები              |            | 1,655          | 1,566          |
| მოკლევადიანი სესხები                      | 13         | 22,508         | 12,420         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>        |            | <b>65,078</b>  | <b>45,149</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |            | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

3 ოქტომბერი, 2022  
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს ჯიბე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020

თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                           | შენიშვნები | 31.12.2021     | 31.12.2020     |
|-------------------------------------------|------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                           |            |                |                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>              |            |                |                |
| ძირითადი საშუალებები                      | 5          | 11,299         | 6,857          |
| არამატერიალური აქტივები                   |            | 42             | 33             |
| აქტივის გამოყენების უფლება                | 18         | 13,968         | 16,773         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>          |            | <b>25,309</b>  | <b>23,663</b>  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                 |            |                |                |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები            | 6          | 28,169         | 21,662         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება    | 7          | 12,027         | 5,539          |
| გაცემული სესხები                          | 8          | 4,912          | 3,138          |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                  |            | 27             | 27             |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები           | 9          | 702            | 969            |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები     | 10         | 4,316          | 1,113          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             |            | <b>50,153</b>  | <b>32,448</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                       |            | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>          |            |                |                |
| <b>კაპიტალი</b>                           |            |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                        | 11         | 1,384          | 1,384          |
| გაუნაწილებელი მოგება                      |            | (3,635)        | (5,951)        |
| გადაფასების რეზერვი                       |            | 322            | 322            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |            | <b>(1,929)</b> | <b>(4,245)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |            |                |                |
| გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე |            | 12,313         | 15,207         |
| გრძელვადიანი სესხები                      |            | -              | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            | <b>12,313</b>  | <b>15,207</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>            |            |                |                |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება   | 12         | 40,915         | 31,163         |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები              |            | 1,655          | 1,566          |
| მოკლევადიანი სესხები                      | 13         | 22,508         | 12,420         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>        |            | <b>65,078</b>  | <b>45,149</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |            | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს ჯიბე  
სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020  
თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                              | შენიშვნები | 2021          | 2020          |
|----------------------------------------------|------------|---------------|---------------|
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან            | 14         | 309,061       | 256,351       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება             | 15         | (289,844)     | (239,073)     |
| <b>საერთო მოგება</b>                         |            | <b>19,217</b> | <b>17,278</b> |
| სხვა შემოსავალი                              |            | 369           | 378           |
| გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი              | 16         | (12,328)      | (8,024)       |
| საერთო ადმინისტრაციული ხარჯი                 | 17         | (2,946)       | (4,373)       |
| ფინანსური ზარალი (წმინდა)                    | 19         | (1,836)       | (1,347)       |
| სხვა მოგება (წმინდა)                         |            | (161)         | (356)         |
| <b>მიმდინარე წლის მოგება დაბეგვრამდე</b>     |            | <b>2,316</b>  | <b>3,556</b>  |
| მოგების გადასახადი                           |            | -             | -             |
| <b>პერიოდის შედეგი</b>                       |            | <b>2,316</b>  | <b>3,556</b>  |
| შემოსავალი ძირითადი საშუალების გადაფასებიდან |            | -             | 322           |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                  |            | <b>2,316</b>  | <b>3,878</b>  |

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

3 ოქტომბერი, 2022  
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს ჯიბე  
სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020  
თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                              | შენიშვნები | 2021          | 2020          |
|----------------------------------------------|------------|---------------|---------------|
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან            | 14         | 309,061       | 256,351       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება             | 15         | (289,844)     | (239,073)     |
| <b>საერთო მოგება</b>                         |            | <b>19,217</b> | <b>17,278</b> |
| სხვა შემოსავალი                              |            | 369           | 378           |
| გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი              | 16         | (12,328)      | (8,024)       |
| საერთო ადმინისტრაციული ხარჯი                 | 17         | (2,946)       | (4,373)       |
| ფინანსური ზარალი (წმინდა)                    | 19         | (1,836)       | (1,347)       |
| სხვა მოგება (წმინდა)                         |            | (161)         | (356)         |
| <b>მიმდინარე წლის მოგება დაბეგვრამდე</b>     |            | <b>2,316</b>  | <b>3,556</b>  |
| მოგების გადასახადი                           |            | -             | -             |
| <b>პერიოდის შედეგი</b>                       |            | <b>2,316</b>  | <b>3,556</b>  |
| შემოსავალი ძირითადი საშუალების გადაფასებიდან |            | -             | 322           |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                  |            | <b>2,316</b>  | <b>3,878</b>  |

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



3 ოქტომბერი, 2022  
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს ჯიბე  
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020  
თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                                         | საკუთარი<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ            |
|---------------------------------------------------------|----------------------|------------------------|-------------------------|----------------|
| <b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>1,384</b>         | <b>-</b>               | <b>(9,507)</b>          | <b>(8,123)</b> |
| პერიოდის შედეგი                                         | -                    | -                      | 3,556                   | 3,556          |
| შემოსავალი/(ზარალი)ძირითადი საშუალების<br>გადაფასებიდან | -                    | 322                    | -                       | 322            |
| <b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>1,384</b>         | <b>322</b>             | <b>(5,951)</b>          | <b>(4,245)</b> |
| პერიოდის შედეგი                                         | -                    | -                      | 2,316                   | 2,373          |
| შემოსავალი/(ზარალი)ძირითადი საშუალების<br>გადაფასებიდან | -                    | -                      | -                       | -              |
| <b>ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>      | <b>1,384</b>         | <b>322</b>             | <b>(3,635)</b>          | <b>(1,929)</b> |

ხელმოწერილი პირები:

ადმინისტრაციული დირექტორი

3 ოქტომბერი, 2022  
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს ჯიბე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020

თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                                         | საკუთარი<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ     |
|---------------------------------------------------------|----------------------|------------------------|-------------------------|---------|
| ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით             | 1,384                | -                      | (9,507)                 | (8,123) |
| პერიოდის შედეგი                                         | -                    | -                      | 3,556                   | 3,556   |
| შემოსავალი/(ზარალი)ძირითადი საშუალების<br>გადაფასებიდან | -                    | 322                    | -                       | 322     |
| ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით             | 1,384                | 322                    | (5,951)                 | (4,245) |
| პერიოდის შედეგი                                         | -                    | -                      | 2,316                   | 2,373   |
| შემოსავალი/(ზარალი)ძირითადი საშუალების<br>გადაფასებიდან | -                    | -                      | -                       | -       |
| ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით             | 1,384                | 322                    | (3,635)                 | (1,929) |

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

**შპს ჯიბე**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020**

**თანხები მოცემულია ათას ლარში**

|                                                                       | 2021           | 2020           |
|-----------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                             | <b>2,373</b>   | <b>3,635</b>   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                  | 770            | 147            |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან                                 | 1              | 124            |
| <b>ცვლილებები:</b>                                                    |                |                |
| (ზრდა)/შემცირება მარაგებში                                            | (6,507)        | (7,122)        |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                          | (6,488)        | (3,601)        |
| ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივებში                               | 267            | (746)          |
| ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                       | 8,207          | 6,366          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>              | <b>(1,434)</b> | <b>(1,276)</b> |
| <b>საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები</b>        | <b>(1,434)</b> | <b>(1,276)</b> |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     |                |                |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/შენიშვნა                                 | (3,672)        | (2,452)        |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                       | (9)            | (4)            |
| სესხის გაცემა                                                         | (1,354)        | (455)          |
| სესხის გაცემიდან მისაღები პროცენტები                                  | (420)          | (328)          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b> | <b>(5,455)</b> | <b>(3,239)</b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                        |                |                |
| მიღებული სესხები                                                      | 10,074         | 3,101          |
| მიღებული სესხის პროცენტი                                              | 14             | 214            |
| <b>საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>    | <b>10,088</b>  | <b>3,315</b>   |
| გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე                  | 4              | (26)           |
| <b>წმინდა ფულის ზრდა</b>                                              | <b>3,203</b>   | <b>(1,226)</b> |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>                    | <b>1,113</b>   | <b>2,339</b>   |
| <b>ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>4,316</b>   | <b>1,113</b>   |

**ხელმოწერილი პირები:**

**აღმასრულებელი დირექტორი**

3 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

**შპს ჯიბე**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით და შესწორებული 2020

თანხები მოცემულია ათას ლარში

|                                                                       | 2021           | 2020           |
|-----------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                             | <b>2,373</b>   | <b>3,635</b>   |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                  | 770            | 147            |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან                                 | 1              | 124            |
| <b>ცვლილებები:</b>                                                    |                |                |
| (ზრდა)/შემცირება მარაგებში                                            | (6,507)        | (7,122)        |
| (ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                          | (6,488)        | (3,601)        |
| ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივებში                               | 267            | (746)          |
| ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                       | 8,207          | 6,366          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>              | <b>(1,434)</b> | <b>(1,276)</b> |
| <b>საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები</b>        | <b>(1,434)</b> | <b>(1,276)</b> |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     |                |                |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/შეწვდენა                                 | (3,672)        | (2,452)        |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                       | (9)            | (4)            |
| სესხის გაცემა                                                         | (1,354)        | (455)          |
| სესხის გაცემიდან მისაღები პროცენტები                                  | (420)          | (328)          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b> | <b>(5,455)</b> | <b>(3,239)</b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                        |                |                |
| მიღებული სესხები                                                      | 10,074         | 3,101          |
| მიღებული სესხის პროცენტი                                              | 14             | 214            |
| <b>საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>    | <b>10,088</b>  | <b>3,315</b>   |
| გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე                  | 4              | (26)           |
| <b>წმინდა ფულის ზრდა</b>                                              | <b>3,203</b>   | <b>(1,226)</b> |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>                    | <b>1,113</b>   | <b>2,339</b>   |
| <b>ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>4,316</b>   | <b>1,113</b>   |

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



3 ოქტომბერი, 2022  
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-33 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

## 1. შესავალი

### კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯიბე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 206335223), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად 2008 წლის 7 ოქტომბრიდან. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერისთავის ქ. N5.

კომპანია წარმოადგენს საბითუმო სავაჭრო ქსელს.

შპს „ჯიბეს“ მესაკუთრეები არიან:

2021 წლის მდგომარეობით:

| დასახელება                      | % წილი |
|---------------------------------|--------|
| სს პონტო ჰოლდინგი (404508314)   | 20%    |
| სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია (404537284) | 80%    |

2020 წლის მდგომარეობით:

| დასახელება                      | % წილი |
|---------------------------------|--------|
| სს პონტო ჰოლდინგი (404508314)   | 20%    |
| სს ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია (404537284) | 80%    |

შპს „ჯიბეს“ მშობელი კომპანია სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯია“ წარმოადგენს მისი 80%-ის მფლობელს. ამავდროულად სს „ჯი-ეიჩ-ელ ჯორჯიას“ 100% წილის მფლობელი არის „Galmington Holding Limited“, რომლის აქციათა 50%-ს ფლობს სს „პონტო კაპიტალი, ხოლო 50%-ს სს „ბაბილო ჰოლდინგი“.

სს „პონტო კაპიტალის“ მესაკუთრეები არიან: ლევან დავითაძე 87%; გიორგი ბერიანიძე 10%; ირაკლი შათაშვილი 3%.

სს „ბაბილო ჰოლდინგის“ მესაკუთრეები არიან : ნამბიარ რაჯემ ვასუდეგან 100%.

### წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიას ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|           | 31 დეკ 2021 | 31 დეკ 2020 |
|-----------|-------------|-------------|
| 1 USD/GEL | 3.0976      | 3,2766      |
| 1 EUR/GEL | 3.5040      | 4,0233      |

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

#### *შესაბამისობის პრინციპი*

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოიცხადებს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

#### *შეფასების საფუძველი*

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

#### *ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, საანგარიშგებო პერიოდში არსებული დადებითი EBITDA, ისევე, როგორც წმინდა მოგება, კომპანიას ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

#### *ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები*

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე

მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, ჯგუფს შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

### *ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია*

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

### *ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება*

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

### *ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა*

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

### *ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების კომპანიასგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი

თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

კომპანია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდსა და მის შესადარის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდში არ იყენებდა აღნიშნულ მიდგომას.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის

გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით მენეჯმენტმა მოახდინა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფის, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა, გადაფასება, რომლის შედეგებიც ასახა 2020 წლის იანვრის მდგომარეობით და შექმნა გადაფასების რეზერვი.

### ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

|                                            | სასარგებლო ვადა (წელი) |
|--------------------------------------------|------------------------|
| მიწა და შენობა-ნაგებობები                  | 50                     |
| მოწყობილობები, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი | 1-5; 7-8; 10           |
| სატრანსპორტო საშუალებები                   | 5; 8                   |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა        | 2; 10                  |

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებები რომელთა ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია პირდაპირ ხარჯებში იწერება. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სარემონტო და შენახვის ხარჯები პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხვდება. თუ მოსალოდნელია ამ ხარჯებისგან მომავალი სარგებელი, მაშინ ხდება მათი დაკაპიტალიზირება ძირითად საშუალებებზე.

### *არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

### *სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### *მოგების გადასახადი*

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა,

ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

### **გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა**

მოგების გადასახადის აღიარება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### **მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება იანგარიშება FIFO მეთოდით, რისთვისაც კომპანია იყენებს პროგრამა „აპექს“.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

### **წინასწარ გადახდები**

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

#### **ფინანსური და საოპერაციო იჯარა**

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

##### *კომპანია როგორც მეიჯარე*

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

##### *კომპანია როგორც მოიჯარე*

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

#### **შემოსავლის აღიარება**

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

#### **კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

#### **ხარჯების აღიარება**

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**სესხები**

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

#### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება*

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### *ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები*

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

#### *სასამართლო დავები*

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

*ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის*

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

#### 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2021 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას დანერგა ფასს 16 სტანდარტი და ასახა სტანდარტის მიღების გავლენა, როგორც საანგარიშგებო პერიოდზე, ასევე წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე.

#### 2019 და 2020 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები:

4.1 IFRS 16, იჯარა (გამოქვეყნდა 2016 ელის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის)

IFRS 16 2016 წლის იანვარში გამოქვეყნდა. ის ანაცვლებს IAS 17 სტანდარტს „იჯარა“, IFRIC 4-ს, რომლითაც დგინდება, შეთანხმება გულისმობს თუ არა იჯარას, SIC-15-ს „საოპერაციო იჯარა - წახალისების საშუალებები“ და SIC-27-ს, რომელიც აფასებს იმ ტრანზაქციების არსს, რომლებიც მოიცავს იჯარის იურიდიულ ფორმას. IFRS 16 აწესებს იჯარის აღიარების, გაანგარიშების, პრეზენტაციის და გამჟღავნების პრინციპებს და იჯარით მოსარგებლებისგან მოითხოვს, რომ ყველა იჯარა ერთი საბალანსო უწყისის მოდელით აღრიცხონ, ისევე, როგორც IAS 17 ფინანსური იჯარის აღრიცხვაზე მოითხოვს. სტანდარტი მოიჯარეებს აღიარების ორ გამონაკლისს სთავაზობს - „დაბალი ღირებულების“ აქტივების იჯარას (მაგალითად პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიან იჯარებს (მაგალითად 12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები). იჯარის პერიოდის დასაწყისში, მოიჯარე აღარებს საიჯარო გადასახდელის ვალდებულებას (მაგალითად საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის პერიოდში (მაგალითად გამოყენების უფლების მქონე აქტივი). მოიჯარეებს მოთხოვებათ, ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთის ხარჯი.

მოიჯარეს ასევე მოეთხოვება გარკვეული მოვლენების დადგომისას ხელახლა იანგარიშოს საიჯარო ვალდებულება (მაგალითად საიჯარო პირობის ცვლილება, სამომავლო საიჯარო გადასახდელის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ამ გადასახდელის განსაზღვრისას გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით). მოიჯარე საიჯარო ვალდებულების გადანგარიშებულ თანხას როგორც წესი აღიარებს როგორც გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირებას.

IFRS 16-ის თანახმად მეიჯარის აღრიცხვა ამჟამად არსებულ IAS 17-ის მიხედვით აღრიცხვასთან შედარებით ძირითადად უცვლელია. მეიჯარეები განაგრძობენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე პრინციპებით, რასაც IAS 17 იყენებს და განასხვავებენ ორი ტიპის იჯარას: საოპერაციო და ფინანსურ იჯარას.

IFRS 16 მოიჯარეებისა და მეიჯარეებისგან ასევე მოითხოვს, უფრო ვრცელი გამჟღავნებები გააკეთონ, ვიდრე IAS 17-ითაა მოთხოვნილი.

- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები (ფასს 16-ის კორექტირება)
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ზასს 16-ის კორექტირებები)
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები)
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ზასს 1-ის კორექტირებები)
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ზასს 37-ის კორექტირებები)

- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები)

#### **IFRIC-ის ინტერპრეტაცია 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით**

ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადის აღრიცხვას, როცა საგადასახადო ასპექტი მოიცავს განუსაზღვრელობას, რომელიც გავლენას ახდენს IAS 12-ის გამოყენებაზე და არ ეხება IAS 12-ის მასშტაბის გარეთა გადასახადებს ან საურავებს, არც რაიმე კონკრეტულ მოთხოვნას შეიცავს გაურკვეველ საგადასახადო აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცენტის და ჯარიმების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად ეხება შემდეგს:

- ბიზნესერთულ ცალკე იხილავს თუ არა გაურკვეველ საგადასახადო აღრიცხვას;
- რა დაშვებებს აკეთებს ბიზნესერთული საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო აღრიცხვის შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს ბიზნესერთული დაბეგვრად მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალებს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ იხილავს ბიზნესერთული ფაქტების და გარემოებების ცვლილებებს;

შპს „ჯიბე“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათას ლარში

## 5. ძირითადი საშუალებები

|                                 | შენიშვნები | მანქანა<br>დანადგარი | სხვა | ოფისის<br>აღჭურვილობა | კომპიუტერები | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | კაპიტალური<br>დანახარჯები | სულ     |
|---------------------------------|------------|----------------------|------|-----------------------|--------------|-------------------------------|---------------------------|---------|
| <b>ისტორიული<br/>ღირებულება</b> |            |                      |      |                       |              |                               |                           |         |
| ბალანსი 31.12.2020              | 1,595      | 1,336                | 108  | 14                    | 880          | 2,951                         | 574                       | 7,458   |
| დამატება                        | 1,429      | 479                  | 37   | 61                    | 179          | 483                           | 3,280                     | 5,948   |
| შემცირება                       | -          | (25)                 | -    | -                     | -            | (41)                          | (679)                     | (745)   |
| გადაფასება                      | -          | -                    | -    | -                     | -            | -                             | -                         | -       |
| ბალანსი 31.12.2021              | 3,024      | 1,790                | 145  | 75                    | 1,059        | 3,393                         | 3,175                     | 12,661  |
| <b>ცვეთა</b>                    |            |                      |      |                       |              |                               |                           |         |
| ბალანსი 31.12.2020              | (21)       | (113)                | (30) | (1)                   | (146)        | (290)                         | -                         | (601)   |
| დამატება                        | -          | 3                    | -    | -                     | -            | 6                             | -                         | 9       |
| შემცირება                       | (72)       | (155)                | (34) | (4)                   | (160)        | (344)                         | -                         | (769)   |
| ბალანსი 31.12.2021              | (93)       | (265)                | (64) | (5)                   | (306)        | (628)                         | -                         | (1,361) |
| ბალანსი 31.12.2020              | 1,574      | 1,223                | 78   | 13                    | 734          | 2,661                         | 574                       | 6,857   |
| ბალანსი 31.12.2021              | 2,931      | 1,525                | 81   | 70                    | 753          | 2,765                         | 3,175                     | 11,300  |

ძირითადი საშუალებების გადაფასება ბოლოს მოხდა 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით და პროგრამულად მიღებული შედეგები აისახა 2020 წლის იანვრის მდგომარეობით. შედეგად შეიქმნა გადაფასების რეზერვი 322 ათასი ლარის ოდენობით. გადაფასება მოხდა დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანია შპს „ევროექსპერტის“ მიერ. გადაფასდა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფი, გარდა იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და გადაფასება შეეხო თითოეულ ჯგუფში შემავალ ყველა აქტივს.

## 6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

|                                           | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| მზა პროდუქცია                             | 27,971        | 21,440        |
| სხვა მარაგები                             | 165           | 200           |
| საწვავი                                   | 33            | 22            |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</b> | <b>28,169</b> | <b>21,662</b> |

## 7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                                   | 31.12.2021    | 31.12.2020   |
|---------------------------------------------------|---------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                | 9,192         | 3,502        |
| სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი                       | 67            | 67           |
| მოთხოვნები სარეკლამო მომსახურებიდან               | 773           | 701          |
| მოთხოვნები პერსონალის მიმართ                      | 193           | 40           |
| მოთხოვნები იჯარიდან                               | 1,251         | 577          |
| სხვა მოთხოვნები                                   | 551           | 652          |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b> | <b>12,027</b> | <b>5,539</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა

მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გარემოებების და მათი საპროგნოზო მაჩვენებლების მონიტორინგს და იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შემქნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი გაუფასურების რეზერვის სახით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                   | 2019  |
|-------------------|-------|
| 1 იანვარი         | (398) |
| გახარჯვა          | 164   |
| 31 დეკემბერი 2019 | (234) |
| გახარჯვა          | (84)  |
| 31 დეკემბერი 2020 | (318) |
| გახარჯვა          | -     |
| 31 დეკემბერი 2021 | (318) |

## 8. გაცემული სესხები

გაცემული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 13%-20%-მდე. სულ გაცემული სესხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,912 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,138 ათას ლარს.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის დეპოზიტებითა და სხვა დაკავშირებული მხარის სხვადასხვა სახის აქტივით.

აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში კომპანია არ იყენებს ფინანსური აქტივის გაუფასურების პოლიტიკას.

## 9. საგადასახადო აქტივი

კომპანიის საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავს დღგ-ს აქტივს, რომელიც ჯამში შეადგენს 2,702 ათას ლარს. დანარჩენი ნაწილი მოიცავს სხვა საგადასახადო ვალდებულებებს, რომელიც არის დაკავშირებული საშემოსავლო, ქონების და სხვა ვალდებულებებთან. სულ საგადასახადო აქტივი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 702 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 969 ათას ლარს.

#### 10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                        | 31.12.2021   | 31.12.2020   |
|----------------------------------------|--------------|--------------|
| სალარო                                 | 225          | 387          |
| ფული ბანკში                            | 4,091        | 726          |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>4,316</b> | <b>1,113</b> |

#### 11. კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 1,384 ათას ლარს. 2021 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

#### 12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                    | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|----------------------------------------------------|---------------|---------------|
| მიღებული ავანსები                                  | -             | -             |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                      | 40,556        | 30,757        |
| გადასახდელი ხელფასები                              | 359           | 405           |
| სხვა ვალდებულებები                                 | -             | 1             |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b> | <b>40,915</b> | <b>31,163</b> |

#### 13. მოკლევადიანი სესხები

|                                 | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|---------------------------------|---------------|---------------|
| მიღებული სესხები                | 22,435        | 12,333        |
| გადასახდელი პროცენტები          | 73            | 87            |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b> | <b>22,508</b> | <b>12,420</b> |

აღნიშნულ განმარტებით შემნიშვნაში მოცემულია სს „საქართველოს ბანკისაგან“ ეროვნულ ვალუტაში აღებული მოკლევადიანი სესხები, რომელთა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 13.5%-დან და 17%-მდე. ჯამური ლიმიტიდან დარჩენილი ასათვისებელი თანხა შეადგენს 370 ათას ლარს.

#### 14. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

|                                              | 2021           | 2020           |
|----------------------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                     | 299,584        | 249,319        |
| შემოსავალი ქეშ ბეჭიდან                       | 9,477          | 7,032          |
| <b>სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან</b> | <b>309,061</b> | <b>256,351</b> |

„შემოსავალი რეალიზაციიდან“ მოიცავს მზა პროდუქციის რეალიზაციის და დაყოფილია პროდუქციის სახეობების მიხედვით, რომელთაგან შემოსავლების ყველა დიდი ოდენობა მოაქვს „ბაკალეას“, „თამბაქოს“, „სასმელის“, „სამაცივრე პროდუქციისა“ და „შაქრის“ რეალიზაციას, რაც შეეხება „შემოსავალს ქეშ ბეჭიდან“ - ქეშ ბეჭი არის პროდუქციის მომწოდებლის მიერ გამოწერილი რეტრო ბონუსი რომელიც დაანგარიშდება კომერციული ხელშეკრულების შესაბამისად, ყველა მომწოდებელს აქვს განსხვავებული ქეშ ბეჭის პირობა, თუმცა ძირითადად ხდება შეკვეთილი პროდუქციის მიხედვით.

## 15. თვითღირებულება

|                                     | 2021           | 2020           |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | 288,060        | 237,771        |
| დანაკლისი                           | 860            | 1,090          |
| ჩამოწერილი პროდუქცია                | 285            | 212            |
| გაცემული ქეშ ბეჭი                   | 589            | -              |
| სხვა საოპერაციო ხარჯები             | 50             | -              |
| <b>სულ თვითღირებულება</b>           | <b>289,844</b> | <b>239,073</b> |

მარაგების თვითღირებულება იანგარიშება FIFO მეთოდით, რისთვისაც კომპანია იყენებს პროგრამა „აპექს“.

## 16. გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი

|                                           | 2021          | 2020         |
|-------------------------------------------|---------------|--------------|
| ხელფასები                                 | 5,919         | 4,005        |
| იჯარა                                     | 2,925         | 1,808        |
| დაცვა                                     | -             | 36           |
| საწვავი და ტრანსპორტირება                 | 1,947         | 503          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | -             | 477          |
| კომუნალური                                | 1,139         | 721          |
| სხვა გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი    | 397           | 474          |
| <b>სულ გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯი</b> | <b>12,327</b> | <b>8,024</b> |

## 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                            | 2021         | 2020         |
|--------------------------------------------|--------------|--------------|
| სხვა ხარჯი                                 | 759          | 896          |
| ხელფასი                                    | 425          | 1,808        |
| საბანკო                                    | 307          | 321          |
| იჯარა                                      | 139          | 182          |
| საწვავი და ტრანსპორტირება                  | 302          | 795          |
| საკონსულტაციო                              | 175          | 177          |
| მივლინება                                  | 69           | 50           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | 770          | 147          |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი</b> | <b>2,946</b> | <b>4,373</b> |

## 18. აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი ფართების იჯარას. იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 5-დან რამდენიმე ათეულ წლიან პერიოდს. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

გამარტივებული მიდგომის სახით კომპანია პორტფელურად აღრიცხავს მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებებს, რადგან ვარაუდობს რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით სტანდარტის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ არის პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ცხრილი გვიჩვენებს იჯარების პორტფელის ვადას, სასესხო განაკვეთს და ჯამურ საიჯარო გადასახდელებს საწყისი აღიარებისას.

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა :

|                                              |             |
|----------------------------------------------|-------------|
| აქტივის გამოყენების უფლება 31 დეკემბერი 2020 | 16,772,580  |
| ამორტიზაცია                                  | (2,804,267) |
| აქტივის გამოყენების უფლება 31 დეკემბერი 2021 | 13,968,314  |

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა :

|                               |             |
|-------------------------------|-------------|
| ვალდებულება 31 დეკემბერი 2020 | 15,206,510  |
| საპროცენტო ხარჯი              | 731,615     |
| გადახდა                       | (3,625,023) |
| ვალდებულება 31 დეკემბერი 2021 | 12,313,101  |

## 19. ფინანსური ზარალი (წმინდა)

ფინანსური ზარალი(წმინდა) შედგება გაცემულ და მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯისგან და ასევე საკუროსო სხვაობებისგან. 2021 წლის განმავლობაში ფინანსურმა ზარალმა შეადგინა 1,836 ათასი ლარი, ხოლო 2020 წლის განმავლობაში 1,347 ათასი ლარი.

## 20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

### სამართლებრივი პროცედურები

საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევს კომპანიის სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

## 21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ

შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

### საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

|                             | 31-დეკ-2021 | 31-დეკ-2020 |
|-----------------------------|-------------|-------------|
| გაცემული სესხები            | 4,912       | 3,138       |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 4,316       | 1,113       |

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

დებიტორული დავალიანება - კონტრაგენტების ინტენსიური საკრედიტო ანალიზის საფუძველზე ფასდება მათგან მისაღების თანხების სარკედიტო ხარისხი. მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველ საბალანსო თარიღისათვის. მცირე თანხის დებიტორები ჯგუფდება ერგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურება ფასდება ჯგუფურად.

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწებულბაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას მენეჯმენტი ითვალისწინებს, მოხდა თუ არა დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის ვადაგადაცილება, ან არის თუ არა ცნობილი მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების კომპანიიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში რაიმე სირთულის არსებობის შესახებ ან ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტი. კომპანია რეზერვებს აფასებს მხოლოდ ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. დავალიანების ამოღების შესაძლებლობა ფასდება პროცენტულად, რომლის საფუძველზეც შეიქმნება საექვო მოთხოვნისთვის ინდივიდუალური რეზერვი;

სავაჭრო დებიტორებოდან მოთხოვნების რეზერვები კოლექტიურად ფასდება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად. მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების დაჯგუფებას კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

### საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2021                                    | აშშ დოლარი<br>ლარში         | ლარში           | სულ             |
|-----------------------------------------|-----------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |                             |                 |                 |
| გაცემული სესხები                        | -                           | 4,912           | 4,912           |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | -                           | 12,027          | 12,027          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 1                           | 4,315           | 4,316           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>1</b>                    | <b>21,254</b>   | <b>21,255</b>   |
|                                         | აშშ დოლარი<br>ლარში         | ლარში           | სულ             |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |                             |                 |                 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | -                           | 40,915          | 40,915          |
| სასესხო ვალდებულებები                   | (2)                         | 22,374          | 22,372          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>(2)</b>                  | <b>63,289</b>   | <b>63,287</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                   | <b>3</b>                    | <b>(42,033)</b> | <b>(42,030)</b> |
| <b>2020</b>                             | <b>აშშ დოლარი<br/>ლარში</b> | <b>ლარში</b>    | <b>სულ</b>      |
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |                             |                 |                 |
| გაცემული სესხები                        | -                           | 3,138           | 3,138           |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | -                           | 5,540           | 5,540           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 1                           | 1,111           | 1,112           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>1</b>                    | <b>9,789</b>    | <b>9,790</b>    |
|                                         | აშშ დოლარი<br>ლარში         | ლარში           | სულ             |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |                             |                 |                 |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | -                           | 31,163          | 31,163          |
| სასესხო ვალდებულებები                   | (2)                         | 12,343          | 12,341          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>(2)</b>                  | <b>43,506</b>   | <b>43,504</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>                   | <b>3</b>                    | <b>(33,716)</b> | <b>(33,713)</b> |

**საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის მიერ აღებული ყველა სესხი ფიქსირებულ პროცენტთანაა საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება, შესაბამისად ამ კუთხით საწარმოზე ზემოქმედებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. აღებული სესხების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10-ში.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი შემოდინებებისაგან.

**ლიკვიდურობის რისკის ცხრილი**

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

| 2021                                       | მოთხოვნისთანავე<br>და 6 თვეზე<br>ნაკლები | 6-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ           |
|--------------------------------------------|------------------------------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                  |                                          |                    |                       |                 |               |
| გაცემული სესხები                           | -                                        | 4,912              | -                     | -               | 4,912         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული<br>დავალიანება  | -                                        | 12,027             | -                     | -               | 12,027        |
| ფული და ფული ეკვივალენტები                 | -                                        | 4,316              | -                     | -               | 4,316         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>              | -                                        | <b>21,255</b>      | -                     | -               | <b>21,255</b> |
|                                            | მოთხოვნისთანავე<br>და 6 თვეზე<br>ნაკლები | 6-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ           |
| <b>ვალდებულებები</b>                       |                                          |                    |                       |                 |               |
| სავაჭრო და სხვა<br>კრედიტორული დავალიანება | -                                        | 40,915             | -                     | -               | 40,915        |
| სასესხო ვალდებულებები                      | -                                        | 22,372             | -                     | -               | 22,372        |
| <b>სულ მომავალში<br/>გადასახდელები</b>     | -                                        | <b>63,287</b>      | -                     | -               | <b>63,287</b> |

**შპს „ჯიბე“**

**შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი**  
**თანხები მოცემულია ათას ლარში**

| 2020                                       | მოთხოვნისთანავე<br>და 6 თვეზე<br>ნაკლები | 6-დან 12<br>თვემდე | 12 თვიდან<br>5 წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ           |
|--------------------------------------------|------------------------------------------|--------------------|-----------------------|-----------------|---------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                  |                                          |                    |                       |                 |               |
| გაცემული სესხები                           | -                                        | 3,138              | -                     | -               | 3,138         |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული<br>დავალიანება  | -                                        | 5,540              | -                     | -               | 5,540         |
| ფული და ფულის<br>ეკვივალენტები             | -                                        | 1,113              | -                     | -               | 1,113         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>              | <b>-</b>                                 | <b>9,791</b>       | <b>-</b>              | <b>-</b>        | <b>9,791</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                       |                                          |                    |                       |                 |               |
| სავაჭრო და სხვა<br>კრედიტორული დავალიანება | -                                        | 31,163             | -                     | -               | 31,163        |
| სასესხო ვალდებულებები                      | -                                        | 12,341             | -                     | -               | 12,341        |
| <b>სულ მომავალში<br/>გადასახდელი</b>       | <b>-</b>                                 | <b>43,504</b>      | <b>-</b>              | <b>-</b>        | <b>43,504</b> |

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა. კომპანია ძირითადად გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

**22. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება**

**აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

**ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები**

სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით,

რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

#### ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები შეფასებული ღირებულება ეფუძნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულ მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს რომელთა მიღებაც მოსალოდნელია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

### 23. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

შეფასების მიზნით ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|                                            | 31-დეკ-2021             |                           | 31-დეკ-2020             |                           |
|--------------------------------------------|-------------------------|---------------------------|-------------------------|---------------------------|
|                                            | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული<br>დავალიანება  | 12,027                  | 12,027                    | 5,540                   | 5,540                     |
| ფული და ფულის ექვივალენტები                | 4,316                   | 4,316                     | 1,113                   | 1,113                     |
| გაცემული სესხები                           | 4,912                   | 4,912                     | 3,138                   | 3,138                     |
| მიღებული სესხები                           | 22,508                  | 22,508                    | 12,420                  | 12,420                    |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანება | 40,915                  | 40,915                    | 31,163                  | 31,163                    |

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

## 24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2021 წლის 31 დეკემბრისთვისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

### გაცემული სესხები:

გაცემული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 13%-20%-მდე. სულ გაცემული სესხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,912 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,138 ათას ლარს. შპს „ჯიბეს“ გაცემული სესხებიდან (სს „დაკო“, „პონტო კაპიტალი“ და „კვანტო რეალი ისტიტი“) ყველა წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის დეპოზიტებითა და სხვა დაკავშირებული მხარის სხვადასხვა სახის აქტივით.

### მენეჯმენტის ხელფასები:

|                | 2021 | 2020 |
|----------------|------|------|
| ხელფასის ხარჯი | 159  | 263  |

## 25. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა მცირდება. უფრო მეტიც, კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

## 26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 3 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

## 27. COVID 19-ის გავლენა საოპერაციო საქმიანობაზე

კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

შპს „ჯიბე“

მმართველობის ანაგრიშება

2021 წლის 31 დეკემბრისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „ჯიბეს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

*მმართველობის ანგარიშგების დასკვნა*

### **მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

### **მოსაზრების საფუძველი**

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ჯიბეს“ თანმხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ჯიბეს“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა დარისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

3 ოქტომბერი, 2022 წელი

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „ჯიბეს“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

**მმართველობის ანგარიშგების დასკვნა****მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**მოსაზრების საფუძველი**

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ჯიბეს“ თანმხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ჯიბეს“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი  
დავით გვეტაძე



სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

3 ოქტომბერი, 2022 წელი

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ჯიბე

## წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯიბეს“ მიერ საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

ლევან დავითაძე

შპს „ჯიბე“

დირექტორი

## წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯიბეს“ მიერ საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

ლევან დავითაძე

შპს „ჯიბე“

დირექტორი



## შინაარსი:

|                                                                                |    |
|--------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. შპს ჯიბეს საქმიანობის მიმოხილვა - განვითარება, შედეგები და მდგომარეობა..... | 3  |
| • კომპანიის შესახებ .....                                                      | 3  |
| • კომპანიის საქმიანობა .....                                                   | 3  |
| • ფილიალების საქმიანობა .....                                                  | 4  |
| 2. არაფინანსური მაჩვენებლები .....                                             | 5  |
| • თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება .....                                    | 5  |
| 3. ფინანსური მაჩვენებლები.....                                                 | 6  |
| 4. საკუთარი აქციების გამოსყიდვა .....                                          | 9  |
| 5. რისკები და მართვა .....                                                     | 9  |
| 6. განვითარების გეგმები .....                                                  | 10 |

## შპს ჯიბეს საქმიანობის მიმოხილვა - განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

### „ჯიბეს“ შესახებ

შპს ჯიბე (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად. დაფუძნდა 2008 წლის 7 ოქტომბერს. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში, თორნიკე ერისთავის #5-ში (სათაო ოფისი).

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ყოველდღიურ მართვას ახორციელებს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის პარტნიორები არიან:

სააქციო საზოგადოება „ჯი-ეიკ-ელ ჯორჯია“ (ს.ნ. 404537284) – 80%;

სააქციო საზოგადოება პონტო ჰოლდინგი (ს.ნ.404508314) – 20%;

კომპანიის დირექტორი - ლევან დავითაძე.

### კომპანიის საქმიანობა

კომპანიის დაარსებამდე, ქვეყანაში საბითუმო ვაჭრობას არაორგანიზებული და ქაოსური სახე ქონდა. ეს ყველაფერი ნეგატიურად მოქმედებდა დარგის განვითარებაზე. მეწარმეებს და იმპორტიორებს უჭირდათ პროდუქციის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლა და საბოლოო მომხმარებელამდე მიტანა. რეალიზაციის ძირითადი არეალი შემოიფარგლებოდა დედაქალაქით, რაც თავისთავად აისახებოდა და პროდუქტის საფასო პოლიტიკის ფორმირებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. თავისთავად გაჩნდა საბითუმო ვაჭრობის ლეგალიზების, ორგანიზების და საფასო პოლიტიკის დარეგულირების საჭიროება, რამაც საფუძველი ჩაუყარა კომპანიის დაფუძნებას. დამფუძნებლების 20 წლიანი გამოცდილებამ იმპორტში, ვაჭრობასა და დისტრიბუციაში, არსებული სიტუაციის გაანალიზებამ და მონდომებამ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით შექმნილიყო ცივილური და ორგანიზებული საბითუმო სავაჭრო ქსელი სულ მალე გამოიღო შედეგი და 2010 წელს გაიხსნა კომპანია ჯიბე Cash&Carry პირველი მაღაზია ზუგდიდში. მალევე მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია საბითუმო ვაჭრობის სფეროში, შესაძლებელი გახდა წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის მთელი ქვეყნის მასშტაბით გაშლა და შესაბამისად მომხმარებელს გაუჩნდა საშუალება შუამავალი რგოლების გარეშე საქონლის შესყიდვისა. ჯიბე Cash&Carry გახდა საქართველოში პირველი და ერთადერთი ორგანიზებული საბითუმო სავაჭრო ქსელი, რომელიც ემსახურება როგორც იურიდიულ პირებს, ასევე საცალო მომხმარებლებს.

2021 წლის ბოლოსთვის წარმოდგენილია 13 მაღაზიით რეგიონებში და 3 მაღაზია/საწყობით ქ. თბილისში.

2021 წელს კომპანიამ გახსნა ორი ახალი ფილიალი მარნეულსა და ჭიათურაში, ასევე კიდევ უფრო განავითარა ხილ-ბოსტნეულის კატეგორია, გაზარდა ასორტიმენტი „ჰორეკას“ კატეგორიის მიმართულებით, შესაბამისად მოხდა მეტი კლიენტის მოძიება და სავაჭრო ბრუნვის გაზრდა.

კომპანია ორიენტირებულია ინოვაციურ გადაწყვეტებზე და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ საბითუმო ვაჭრობის კულტურის დანერგვაზე. ქსელის განვითარება დაგეგმილი სტრატეგიისა და მიზნის შესაბამისად ხორციელდება. დღეს კომპანიასთან სტაბილურად თანამშრომლობს 400-ზე მეტი მომწოდებელი კომპანია, 9000-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა პროდუქტით.

## ფილიალების საქმიანობა

2021 წლის მდგომარეობით მაღაზიები მდებარეობს საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში - ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ჭიათურაში, გორში, ახალციხეში, ახალქალაქში, მარნეულში, რუსთავსა და თბილისში, მათ შორის თბილისში წარმოდგენილია ორი სავაჭრო მაღაზია და ერთი ცენტრალური ლოჯისტიკური საწყობი, ამის გარდა კომპანიას აქვს მეორე ლოჯისტიკური საწყობი სამტრედიაში. საშუალოდ ჯიბეს სავაჭრო მაღაზიები 1150კვ.მ-ია და თავისუფლად უზრუნველყოფს საქონლის ფართო ასორტიმენტს და კონკურენტულ ფასებს.




კომპანიის ყველა მაღაზია არის თანამედროვედ აღჭურვილი, ორგანიზებული სავაჭრო ობიექტი, სადაც იყიდება ხარისხიანი პროდუქცია, ხდება ვადების და შენახვის პირობების მკაცრი კონტროლი.

კომპანიის ყველა ფილიალი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს, ასევე მუდმივად იცავს სანიტარულ ჰიგიენურ-ნორმებს ობიექტებზე, პროდუქციის შენახვის პირობებს, გარდა ამისა, ვადაგასული/ჩამოსაწერი საქონლის უტილიზაციას უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვით სპეციალიზირებულ ნაგავსაყრელებზე და ცდილობს გარემოს ნაკლები ზიანი მიაყენოს.

## არაფინანსური მაჩვენებლები

### თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება

კომპანიის საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობაც. ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საშუალო წლიური დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიაში 2018-2021 წლებში. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა.



აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში, რისთვისაც კომპანიის თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ ამ


საკითხებზე ტრეინინგები. 2021 წელს ახალი და არსებული თანამშრომლებისთვის ჩატარდა ეფექტური კომუნიკაციის და პრობლემური სიტუაციების მართვის ტრეინინგი, პროექტების მართვის ტრეინინგები სათავო ოფისის თანამშრომლებისთვის და მენეჯერებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია 2021 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფოს მიერ COVID-19-თან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს, სამუშაო გარემოსთან მიმართებაში, სრულიად იცავდა და ზრუნავდა თანამშრომელთა უსაფრთხო გარემოზე, უზრუნველყოფდა მათ ტრანსპორტირებას და • კოვიდის დროს ხანგრძლივი გაცდენის გამო, სხვა თანამშრომლების ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას.

## ფინანსური მაჩვენებლები


კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს IFRS სტანდარტების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წელს COVID-19-ის პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდა ქვეყნის მთლიან ბიზნეს გარემოზე და მათ შორის კომპანია ჯიბეზეც. 2021 წლიდან პანდემიის გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად, მოხდა სამომხმარებლო ბაზრის დასტაბილურება, შესაბამისად შედეგები დადებითად აისახა 2021 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე. საერთო ჯამში კომპანიის წლიური სავაჭრო ბრუნვა გაზრდილია დაახლოებით 21%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო საერთო მოგება 11%-ით. კომპანიის საბოლოო ფინანსური მაჩვენებლებიც დადებითია. 2021 წელს ასევე დადებითი შედეგები მოიტანა ახალი ფილიალების დამატებამ და არსებული ფილიალების განახლებამ და ტექნიკურად მოდერნიზაციამ, რამაც დააჩქარა ბიზნეს პროცესები თავის მხრივ და ხელი შეუწყო შედეგების გაუმჯობესებას.

ძირითდი ფინანსური მაჩვენებლები:



### საბითუმო - საცალო რეალიზაცია 2021 წელი



### რეალიზაცია ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2021 წელი



სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                        | 31.12.2021    | 31.12.2020    |
|----------------------------------------|---------------|---------------|
| <b>აქტივები</b>                        |               |               |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>           |               |               |
| ძირითადი საშუალებები                   | 11,299        | 6,857         |
| არამატერიალური აქტივები                | 42            | 33            |
| აქტივის გამოყენების უფლება             | 13,968        | 16,773        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>       | <b>25,309</b> | <b>23,663</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>              |               |               |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები         | 28,169        | 21,662        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 12,027        | 5,539         |

|                                           |                |                |
|-------------------------------------------|----------------|----------------|
| გაცემული სესხები                          | 4,912          | 3,138          |
| წინასწარ გაწეული ხარჯები                  | 27             | 27             |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები           | 702            | 969            |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები     | 4,316          | 1,113          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>             | <b>50,153</b>  | <b>32,448</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                       | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>          |                |                |
| <b>კაპიტალი</b>                           |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                        | 1,384          | 1,384          |
| გაუნაწილებელი მოგება                      | (3,635)        | (5,951)        |
| გადაფასების რეზერვი                       | 322            | 322            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       | <b>(1,929)</b> | <b>(4,245)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |                |                |
| გრძელვადიანი ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე | 12,313         | 15,207         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     | <b>12,313</b>  | <b>15,207</b>  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>            |                |                |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება   | 40,915         | 31,163         |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები              | 1,655          | 1,566          |
| მოკლევადიანი სესხები                      | 22,508         | 12,420         |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>        | <b>65,078</b>  | <b>45,149</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      | <b>75,462</b>  | <b>56,111</b>  |

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                   |               |               |
|-----------------------------------|---------------|---------------|
|                                   | <b>2021</b>   | <b>2020</b>   |
| შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან | 309,061       | 256,351       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება  | (289,844)     | (239,073)     |
| <b>საერთო მოგება</b>              | <b>19,217</b> | <b>17,278</b> |

|                                              |              |              |
|----------------------------------------------|--------------|--------------|
| სხვა შემოსავალი                              | 369          | 378          |
| გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯი              | (12,328)     | (8,024)      |
| საერთო ადმინისტრაციული ხარჯი                 | (2,946)      | (4,373)      |
| ფინანსური ზარალი (წმინდა)                    | (1,836)      | (1,347)      |
| სხვა მოგება (წმინდა)                         | (161)        | (356)        |
| <b>მიმდინარე წლის მოგება დაბეგვრამდე</b>     | <b>2,316</b> | <b>3,556</b> |
| მოგების გადასახადი                           | -            | -            |
| <b>პერიოდის შედეგი</b>                       | <b>2,316</b> | <b>3,556</b> |
| შემოსავალი ძირითადი საშუალების გადაფასებიდან | -            | 322          |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>                  | <b>2,316</b> | <b>3,878</b> |

## საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ჯგუფს 2021 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს.

## რისკები და მართვა

ხელმძღვანელობა სრულად პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ჩამოყალიბებასა და მის მართვაზე, რაც გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, კონტროლის უზრუნველყოფას და მონიტორინგს. საბაზრო პირობების ცვლილებისას ან/და კომპანიის შიდა ცვლილებების ასახვისას რისკების მართვის სისტემა რეგულარულად განიხილება და ტრენინგებისა და პროცედურების საშუალებით აყალიბებს დისციპლინირებულ და კონსტრუქციულ გარემოს, სადაც ყველა თანამშრომელს გათვითცნობიერებული აქვს მისი როლი და ვალდებულება.

კომპანია საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა, შესაბამისად ქვეყანაში მოქმედი შიდა პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები აისახება კომპანიის მუშაობასა და განვითარებაზე.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების აცილების გამო კომპანიას დაქირავებული ყავს როგორც შიდა სპეციალისტები, ისე სპეციალიზირებული კომპანიები რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ და საგადასახდო საკონსულტაციო მომსახურებას.

კომპანიის საქმიანობის შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კიბერშეტევებმაც. შესაბამისად კიბერუსაფრთხოების დაცვის მიზნით კომპანიას მომსახურებას უწევს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს კიბერშეტევებით კომპანიის საქმიანობის რაიმე ფორმით შეფერხება.

კომპანია მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ მსხვილ საბანკო ინსტიტუტებთან, როგორც საკრედიტო, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით. სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისას რისკი დაზღვეულია ფულის ან სხვა აქტივის მიწოდებით, რითაც კომპანია უზრუნველყოფს მისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას. თუმცა აღსანიშნავია რომ მისი არსებობის მანძილზე არ ქონია მსგავსი შემთხვევები და აქვს პოზიტიური საკრედიტო ისტორია.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მსოფლიო ბიზნეს გარემოს და მათ შორის საქართველოსაც. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გასულ წლებში გარკვეული გავლენა მოახდინა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე კომპანიის საქმიანობაზეც. 2021 წლიდან პანდემიის გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად, მოხდა სამომხმარებლო ბაზრის დასტაბილურება, რაც კომპანიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია.

## განვითარების გეგმები

თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში. ახალი ფილიალების დამატებით ხდება ახალი ბაზრების ათვისება და ახალი კლიენტების მოძიება, იზრდება კომპანიის ცნობადობა.

კომპანია სამომავლოდ კომპანია გეგმავს კიდევ გახსნას მინ. 3 ახალი ფილიალი საქართველოს რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, განავითარებს რეგიონებში საბითუმო ვაჭრობას და უფრო კომფორტული გახდება მოსახლეობისთვის, ბიზნეს ოპერატორებისთვის პროდუქტების შეძენა.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

ლევან დავითაძე .....

შპს „ჯიბე“

დირექტორი

კომპანიის საქმიანობის შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კიბერშეტევებმაც. შესაბამისად კიბერუსაფრთხოების დაცვის მიზნით კომპანიას მომსახურებას უწევს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს, რათა არ მოხდეს კიბერშეტევებით კომპანიის საქმიანობის რაიმე ფორმით შეფერხება.

კომპანია მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ მსხვილ საბანკო ინსტიტუტებთან, როგორც საკრედიტო, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით. სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისას რისკი დაზღვეულია ფულის ან სხვა აქტივის მიწოდებით, რითაც კომპანია უზრუნველყოფს მისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას. თუმცა აღსანიშნავია რომ მისი არსებობის მანძილზე არ ქონია მსგავსი შემთხვევები და აქვს პოზიტიური საკრედიტო ისტორია.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მსოფლიო ბიზნეს გარემოს და მათ შორის საქართველოსაც. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ დაწესებულმა შეზღუდვებმა გასულ წლებში გარკვეული გავლენა მოახდინა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე კომპანიის საქმიანობაზეც. 2021 წლიდან პანდემიის გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად, მოხდა სამომხმარებლო ბაზრის დასტაბილურება, რაც კომპანიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია.

## განვითარების გეგმები

თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში. ახალი ფილიალების დამატებით ხდება ახალი ბაზრების ათვისება და ახალი კლიენტების მოძიება, იზრდება კომპანიის ცნობადობა.

კომპანია სამომავლოდ კომპანია გეგმავს კიდევ გახსნას მინ. 3 ახალი ფილიალი საქართველოს რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, განვითარებს რეგიონებში საბითუმო ვაჭრობას და უფრო კომფორტული გახდება მოსახლეობისთვის, ბიზნეს ოპერატორებისთვის პროდუქტების შეძენა.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

ლევან დავითაძე

შპს „ჯიბე“

დირექტორი

